სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ქალბატონო ელენე,

გაცნობებთ, რომ შპს „ჯორჯიან პროდაქშენ კომპანი“ (ს/კ: 416389189) მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარის ტერიტორიაზე გეგმავს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

ვინაიდან, კომპანიის მიერ დაგეგმილი საქმიანობა გათვალისწინებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტით (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება), ხოლო მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სააგენტოს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და სააგენტოსგან მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, წარმოგიდგენთ ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მომზადებულ სკრინინგის განცხადებას.

დანართები:

1. **სკრინინგის ანგარიში**
2. **Shp ფაილები**

გიორგი გაჩეჩილაძე
შპს „ჯორჯიან პროდაქშენ კომპანის“ (ს/კ: 416389189) დირექტორი

Giorgi Gachechiladze

Digitally signed by Giorgi Gachechiladze
Date: 2025.06.06 15:50:18 +04'00'